დანართი 1.

დამტკიცებულია
საქართველოს სერტიფიცირებული გიდების ასოციაციის
საერთო კრების მე-5 სხდომის მიერ

თარიღი: 2021 წლის 26 დეკემბერი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის

საქართველოს სერტიფიცირებული გიდების ასოციაცია

წ ე ს დ ე ბ ა

2021 წელი

1. ზოგადი დებულებანი

1.1. „*საქართველოს სერტიფიცირებული გიდების ასოციაცია*“ (შემდგომში„*ასოციაცია*“) არის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის საფუძველზე შექმნილი კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, საყოვეთაოდ აღიარებული საერთაშორისო სამართლის ნორმებისა და ამ წესდების შესაბამისად.

1.2. *ასოციაციის* სახელწოდებაა:

ქართულად – „საქართველოს სერტიფიცირებული გიდების ასოციაცია“ - სსგა
ინგლისურად – “Sakartvelo’s Certified Guides Association” - SCGA

1.3. *ასოციაციას* გააჩნია ემბლემა:

1.4. ასოციაცია წარმოშობილად ითვლება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.

1.5. *ასოციაციას* აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, მოქმედებს თვითმმართველობისა და თვითდაფინანსების პრინციპების საფუძველზე.

1.6. *ასოციაცია* უფლებამოსილია დადოს ხელშეკრულებები, აწარმოოს მოლაპარაკებები, განახორციელოს საკუთარი ქონებრივი და არაქონებრივი უფლებები და იკისროს მოვალეობები, იყოს მოსარჩელე და მოპასუხე სასამართლოში, არბიტრაჟსა და სამედიატორო სასამართლოში.

1.7. *ასოციაცია* თავის საქმიანობას განახორციელებს როგორც საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ისე მის საზღვრებს გარეთ.

1.8. *ასოციაციის* ოფიციალური სამუშაო ენაა ქართული. საკანცელარიო მიმოწერა საჭიროების მიხედვით წარმოებს ინგლისურ და რუსულ ენებზე და თუ ამას აუცილებლობა მოითხოვს, სხვა ენებზეც.

1.9. *ასოციაციის* იურიდიული მისამართია: საქართველო, ქალაქი მცხეთა, გამსახურდიას ქ. 26

1.10. *ასოციაცია* შექმნილია განუსაზღვრელი ვადით.

2. ასოციაციის მიზნები

2.1. ასოციაცია არის ნეიტრალური, აპოლიტიკური, არაკომერციული ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს პროფესიონალ გიდთა სერტიფიცირებას, იცავს სერტიფიცირებულ გიდთა და სერტიფიცირებული გიდის მომსახურებით მოსარგებლე მომხმარებელთა უფლებებსა და ინტერესებს.

2.2. *ასოციაცია* უზრუნველყოფს წევრი გიდების კვალიფიკაციის შემოწმებას, დადასტურებასა და კონტროლს და შესაბამისად ყველა დაინტერესებულ მხარეთა ინფორმირებას საქართველოში ტურისტული გიდის მომსახურების ეფექტურობის ამაღლების მიზნით, საკანონმდებლო და სახელმწიფო პოლიტიკის განვითარების პროცესების ჩათვლით.

2.3. *ასოციაციის* მისიას წარმოადგენს საქართველოს პროფესიონალი გიდების მომზადებისა და ტურისტული გიდის მომსახურების მოწინავე სტანდარტების შესაბამისად განვითარების ხელშეწყობა, გიდების პროფესიონალზმის ამაღლების, მათი სათანადოდ დასაქმებისა და მაღალხარისხიანი მომსახურების ხელშეწყობის მეშვეობით.

2.4. *ასოციაცია* მიზნად ისახავს:

i. ტურიზმის სფეროს ყველა დაინტერესებულ მხარეთა ინფორმირებას ტურისტული გიდების პროფესიონალიზმის ამაღლებისათვის შესაბამისი საკანონმდებლო და სახელმწიფო პოლიტიკის ეფექტურობის გასაუმჯობესებლად;

ii. გიდის პროფესიით და სხვა შესაბამისი საქმიანობით ტურიზმის სექტორში დასაქმებული მოქალაქეების უნარების ამაღლებისა და მათი სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობას გიდის სტანდარტიზაციის, გიდების კატეგორიების განსაზღვრისა და ზოგადად გიდების პროფესიის დიფერენციაციის შესაბამისი პროგრამების მეშვეობით;

iii. სერტიფიცირებული წევრი გიდების საქმიანობისა და ინტერესების დაცვას ყველა დონეზე;

iv. ბიზნესის, სამოქალაქო საზოგადოებისა და ხელისუფლების წარმომადგენელთა ცოდნისა და ინფორმირებულობის განმტკიცებას გიდის პროფესიის მნიშვნელობისა და მისი განვითარების მიმდინარეობის შესახებ;

v. წევრ გიდებს შორის გამოცდილების გაზიარების ეფექტური და ადვილადმისაწვდომი მექანიზნების შექმნას, მათ შორის ქვეყნის გარეთ არსებულ შესაბამის საერთაშორისო ქსელებში ინტეგრირების შეთავაზებას და ხელშეწყობას.

3. ასოციაციის ძირითადი პრინციპები

3.1. **ნეიტრალობა** – *ასოციაცია* სრულიად დამოუკიდებელი და ნეიტრალურია. *ასოციაციას* არ გააჩნია და შესაბამისად არ ავრცელებს პოლიტიკურ შეხედულებებს, არამედ ახდენს დაინტერესებულ მხარეთა ინფორმირებას; *ასოციაციის* ნეიტრალობა არ გამორიცხავს პოლიტიკოსთა თუ საზოგადო მოღვაწეთა მონაწილეობას *ასოციაციის* პროგრამებსა თუ ღონისძიებებში. მონაწილეობის საშუალება ეძლევა ყველას, განურჩევლად მისი პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი ორიენტაციისა; *ასოციაცია* თანაბარ დონეზე უზრუნველყოფს ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობას *ასოციაციის* საქმიანობაში ისე, რომ თავიდან იქნეს აცილებული რომელიმე კონკრეტული მხარისა თუ სექტორის პრივილეგირებული მონაწილეობა.

3.2. **გამჭვირვალობა** – *ასოციაციის* პროგრამული საქმიანობა ხორციელდება გამჭვირვალობის იმ ხარისხით, რომელიც აკმაყოფილებს საჯაროობის ძირითად პრინციპებს; *ასოციაციის* ფინანსური საქმიანობა ხორციელდება გამჭვირვალედ.

3.3. **მხარეთა თანამონაწილეობა** – ღონისძიებების განხორციელებისას *ასოციაცია* უზრუნველყოფს მონაწილე მხარეთა შორის ინფორმაციის გაცვლისა და ურთიერთსწავლების სათანადო ხარისხს.

3.4. **დაფინანსება** – *ასოციაციის* დაფინანსება რეგლამენტირებულია და ექვემდებარება მკაცრ კონტროლს. *ასოციაცია* აწესებს შესაბამის პროცედურებს დაფინანსების გამჭვირვალობის უზრუნველყოფისთვის. *ასოციაციის* დაფინანსების პირველ წყაროს წარმოადგენს *ასოციაციის* წევრების მიერ გადახდილი საწევროები. *ასოციაციაა* დაფინანსებას ასევე იღებს იმ დონორებისგან, რომლებიც *ასოციაციის* ხელთ არსებული ინფორმაციით არ ეწევიან ან არ არიან ჩართულნი ისეთ საქმიანობაში, რაც წინააღმდეგობაში მოდის *ასოციაციის* ღირებულებებთან. *ასოციაცია* არ იღებს დაფინანსებას დონორებისგან ისეთი ვალდებულებებით, რომელიც არ შეესაბამება *ასოციაციის* მიზნებსა და პრინციპებს. *ასოციაცია* არ ანაზღაურებს პროგრამებში მონაწილეთა დროის საფასურს, არამედ ფარავს პროგრამის განხორციელების ხარჯებს.

3.5. **პროგრამული მიდგომა** – *ასოციაციის* მიერ განხორციელებული ნებისმიერი შინაარსისა და ფორმის პროგრამა პასუხობს *ასოციაციის* საწესდებო მიზნებსა და ამოცანებს და გააჩნია ნათლად განსაზღვრული ამოცანები. *ასოციაციის* საქმიანობა იგეგმება მონაწილე მხარეთა დროის მაქსიმალურად ეფექტურად გამოყენების პრინციპით.

3.6. **მონიტორინგი და შეფასება** – *ასოციაციის* ყველა საქმიანობა ფასდება მისი პერსონალის მიერ *ასოციაციის* პროგრამებში მონაწილე მხარეთა გამოკითხვის საფუძველზე, რის საფუძველზეც მომზადებული ანგარიში ეგზავნება *ასოციაციის* გამგეობას *ასოციაციის* საქმიანობის ხარისხისა და ეფექტურობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

3.7. **ასოციაციის პერსონალი** – *ასოციაციის* ანაზღაურებადი პერსონალია აღმასრულებელი მდივანი, რომელიც ასოციაციის გამგეობის ხელმძღვანელობის ქვეშ შიდა და გარე ურთიერთობების ადმინისტრირებას ახორციელებს მიუკერძოებლად პროფესიული ეთიკისა და ასოციაციის წინაშე აღებული მოვალეობებისა და ვალდებულებების ფარგლებში, სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ნეიტრალობისა და კონფიდენციალობის დაცვის პრინციპებს.

4. ასოციაციის საქმიანობის ფორმები

4.1. თავისი მიზნების მისაღწევად *ასოციაცია* ეწევა შემდეგ საქმიანობას:

- ადგენს და ორგანიზებას უწევს სპეციალურ პროგრამებს წევრი გიდებისათვის დაინტერესებულ მხარეებთან, საჯარო მოხელეებთან, ბიზნესთან, მასმედიასა და სამოქალაქო საზოგადოებასბთან ურთიერთობისა და თანამშრომლობის მიზნით;
- ატარებს გიდის სასერტიფიკაციო გამოცდებსა და სასერტიფიკაციო საწვრთნელ კურსებს; ასევე სემინარებს, კონფერენციებსა და სხვა საგანმანათლებლო შეხვედრებსა და ღონისძიებებს;
- აწყობს კვლევებს და გამოკითხვებს გიდის პროფესიასთან დაკავშირებულ შესაბამის აქტუალურ საკითხებზე და პრობლემებზე;
- წევრ გიდებსა და მათი საჭიროებიდან გამომდინარე დიალოგში მონაწილე მხარეებს უზრუნველყოფს ინფორმაციითა და მასალებით;
- *ასოციაციის* მიზნების შესაბამისად ახორციელებს სხვა საქმიანობას, რომელიც არ ეწინააღმდეგება წინამდებარე წესდებას და არ არის აკრძალული საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

5. ასოციაციის წევრობა

5.1. ასოციაციის წევრებად მიიღებიან მხოლოდ ფიზიკური პირები.

5.2. *ასოციაციის* წევრი შეიძლება გახდეს ფიზიკური პირი, რომელიც ეწევა გიდის საქმიანობას და იზიარებს ასოციაციის მიზნებს, პრინციპებსა და ღირებულებებს.

5.3. *ასოციაციის* წევრობა ორგვარია:

ა) ნამდვილი წევრი - ფიზიკური პირი, რომელიც ეწევა გიდის საქმიანობას, წარმატებით აქვს გავლილი ვერცხილს სამკერდიანი გიდის სასერტიფიკაციო გამოცდები; ასოციაციის გამგეობის (შემდგომში ,,გამგეობა“) მიერ მინიჭებული აქვს სერტიფიცირებული (ვერცხლის სამკერდიანი) გიდის კვალიფიკაცია, ხოლო ასოციაციის საერთო კრების (შემდგომში ,,საერთო კრება“) მიერ მინიჭებული აქვს საქართველოს გიდის წოდება.

ბ) კანდიდატი წევრი - ფიზიკური პირი, რომელიც ეწევა გიდის საქმიანობას და მხარს უჭერს ასოციაციის საქმიანობას, თუმცა არ აქვს გავლილი შესაბამისი მომზადება და ასოციაციის სასერტიფიკაციო გამოცდები გამგეობის მიერ განსაზღვრული კვალიფიკაციის მოთხოვნების შესაბამისად. კანდიდატ წევრს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს საერთო კრების სხდომებში ხმის უფლების გარეშე. კანდიდატ წევრზე არ ვრცელდება ამ წესდების მე-7 მუხლით დადგენილი ასოციაციის ნამდვილი წევრის უფლება-მოვალეობანი. კანდიდატი წევრები არ აირჩევიან ასოციაციის ხელმძღვანელ ორგანოებში.

5.4. *ასოციაციის* წევრებად მიიღებიან მხოლოდ პრაქტიკოსი გიდები, მათი კვალიფიკაციისა და პიროვნული მონაცემების მიხედვით ასოციაციის მიზნებთან და ამოცანებთან შესაბამისად.

5.5. *ასოციაციის* წევრად მიღება არ ხდება ავტომატურად. ასოციაციის წევრი არ შეიძლება ასოციაციაში წარმოადგენდეს რომელიმე კონკრეტულ ორგანიზაციას ან რაიმე სხვა სახის გაერთიანებას.

5.6. *ასოციაციის* წევრობის მსურველი დადგენილი ფორმით წერილობითი ფორმით (განცხადებით) მიმართავს გამგეობას. გამგეობა წევრად მიღების საკითხს წყვეტს განცხადების შემოტანიდან სამი (3) თვის განმავლობაში. ასოციაციაში გაწევრიანების მსურველმა უნდა განახორციელოს გამგეობის მიერ წევრობის მსურველთათვის დადგენილი ქმედებები.

5.7. *ასოციაციის* წევრს უფლებამოსილება ავტომატურად უწყდება:

ა) საკუთარი განცხადების საფუძველზე;

ბ) საწევროს შენატანის გადახდის დადგენილ ვადაზე თოთხმეტი (14) დღით გადაცილების შემთხვევაში;

გ) სასამართლოს გადაწყვეტილებით მისი ქმედუუნაროდ ცნობის შემთხვევაში;

დ) მისი გარდაცვალების შემთხვევაში;

ე) როდესაც მის მიმართ კანონიერ ძალაში შევა სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი.

5.8. ასოციაციის წევრი შეიძლება გაირიცხოს ასოციაციიდან, თუ:

ა) მისი საქმიანობა ეწინააღმდეგება ასოციაციის მიზნებს, ლახავს მის რეპუტაციას ან უხეშად არღვევს მოქმედი კანონმდებლობითა და ამ წესდებით მასზე დაკისრებულ მოვალეობებს;

ბ) უხეშად არღვევს საქართველოს გიდის ეთიკის კოდექსს, *ასოციაციის* შინაგანაწესსა და *ასოციაციის* პრინციპებს;

გ) ასოციაციის გამგეობის მიერ მისი შეუფერებელი ქცევის გამო გარიცხვის შესახებ გაფრთხილების შემდგომ განმეორებით ჩაიდენს შეუფერებელ საქციელს;

დ) არ დააკმაყოფილებს იმ პირობებს, რომლებიც შეიძლება დამატებით დადგენილ იქნას საერთო კრების ან გამგეობის მიერ.

5.9. ასოციაციის წევრის გარიცხვა ხდება საერთო კრების გადაწყვეტილებით გამგეობის შეთავაზების საფუძველზე საერთო კრების სხდომაზე დამსწრე ნამდვილ წევრთა ხმის უმრავლესობით.

5.10. გამგეობას შეუძლია *ასოციაციის* წევრს დროებით შეუჩეროს ასოციაციის წევრობა, თუ მისი საქმიანობა ეწინააღმდეგება ასოციაციის მიზნებს, არღვევს ასოციაციის წესდებას, *ასოციაციის* შინაგანაწესს ან/და საქართველოს გიდის ეთიკის კოდექსს, ლახავს *ასოციაციის* სახელს ან არღვევს მოქმედი კანონმდებლობითა და ამ წესდებით მასზე დაკისრებულ მოვალეობებს. საერთო კრების სხდომის ჩატარებამდე გამგეობა ვალდებულია გადახედოს ასეთი წევრისთვის წევრობის შეჩერების გადაწყვეტილებას, რათა ან აღუდგინოს შეჩერებული წევრობა, ან შესთავაზოს საერთო კრებას მისი *ასოციაციიდან* გარიცხვა.

6. საწევრო შენატანი

6.1. საწევრო შენატანის გადახდა ხდება გაწევრიანებისთანავე.

6.2. საწევრო შენატანის გადახდა ხდება წინასწარ ყოველწლიურად და გამოიყენება *ასოციაციის* ადმინისტრირებისა და ასოციაციის მიერ განხორციელებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

6.3. საწევრო შენატანის წლიური ოდენობა განისაზღვრება საერთო კრების მიერ დამსწრე ნამდვილ წევრთა ხმის უმრავლესობით.

6.4. საწევროს გადახდის წესი და სხვა დამატებითი პირობები განისაზღვრება გამგეობის მიერ.

7. ნამდვილ წევრთა უფლება-მოვალეობები

7.1. *ასოციაციის* ნამდვილ წევრს უფლება აქვს:

ა) მონაწილეობა მიიღოს საერთო კრების მუშაობაში;

ბ) კვალიფიკაციისა და შესაძლებლობების შესაბამისად მონაწილეობდეს *ასოციაციის* პროგრამებში;

გ) მიიღოს ასოციაციის ხელთ არსებული ყველა ინფორმაცია ასოციაციის ხელმძღვანელი ორგანოებისა და პირებისგან ასოციაციის საქმიანობის შესახებ;

დ) *ასოციაციის* მიზნების შესაბამისად, შესაძლებლობის ფარგლებში, ისარგებლოს *ასოციაციის* საკუთრებაში არსებული ინფორმაციით და მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით;

ე) ატაროს *ასოციაციის* ემბლება.

7.2. ასოციაციის ნამდვილი წევრი მოვალეა:

ა) დაიცვას ასოციაციის წესდება, შინაგანაწესი, გიდის ეთიკის კოდექსი და ასოციაციის მმართველი ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები;

ბ) გაუფრთხილდეს *ასოციაციის* ღირსებას, ავტორიტეტსა და ქონებას;

გ) შესაძლებლობებისა და ინტერესების შესაბამისად მონაწილეობდეს *ასოციაციის* საქმიანობაში;

დ) პროფესიულ საქმიანობაში იხელმძღვანელოს საქართველოს გიდის ეთიკის კოდექსითა და ეთიკის ზოგადი ნორმებით;

ე) გადაიხადოს საწევრო დროულად, დადგენილი წესითა და ოდენობით.

7.3. *ასოციაციის* ნამდვილი წევრი საერთო კრებაზე სარგებლობს ხმის უფლებით.

7.4. *ასოციაციის* ნამდვილ წევრს შეუძლია არჩეული იქნას ასოციაციის მმართველობით ორგანოებში.

8. ასოციაციის მართვა

8.1. *ასოციაციის* ორგანიზაციული სტრუქტურა განისაზღვრება შემდეგნაირად:

- საერთო კრება
- გამგეობა
- კვალიფიკაციის საბჭო
- აღმასრულებელი მდივანი

8.2. საერთო კრება

8.2.1. *ასოციაციის* უმაღლეს ხელმძღვანელ ორგანოს წარმოადგენს საერთო კრება, რომელიც შედგება ასოციაციის ნამდვილი წევრებისგან.

8.2.2. საერთო კრება მოიწვევა *ასოციაციის* პრეზიდენტის ან გამგეობის მიერ და ტარდება წელიწადში ერთხელ.

8.2.3. საერთო კრების სხდომის დღის წესრიგს განსაზღვრავს გამგეობა. ცვლილებების შეტანა წესდებაში ხდება ნამდვილ წევრთა ერთი მეხუთედის ინიციატივით;

8.2.4. საერთო კრება ტარდება დისტანციურად, თუმცა, გამგეობის ან ნამდვილ წევრთა ინიციატივის საფუძველზე შესაძლოა ჩატარდეს ფიზიკურად.

8.2.5. საერთო კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება ასოციაციის ნამდვილ წევრთა ნახევარზე მეტი.

8.2.6. საერთო კრება სხდომაზე დამსწრე ნამდვილ წევრთა ხმების უმრავლესობით:

i. ამტკიცებს ცვლილებებს *ასოციაციის* წესდებაში;

ii. ირჩევს გამგეობის წევრებს;

iii. იღებს საერთო გადაწყვეტილებებს, რომელიც ეხება *ასოციაციის* საქმიანობას, მათ შორის ასოციაციის წევრობას, წესებსა და პროცედურებს, ბიუჯეტსა და სამუშაო პროგრამებს;

iv. ამტკიცებს გამგეობის მიერ შემუშავებულ *ასოციაციის* ზოგად საორგანიზაციო საკითხებს და სამოქმედო გეგმებს, აგრეთვე ცვლილებებს *ასოციაციის* შინაგანაწესში, საქართველოს გიდის ეთიკის კოდექსსა და სხვა დოკუმენტებში და თვალყურს ადევნებს მათ შესრულებას;

v. მონიტორინგს უწევს გამგეობის მიერ *ასოციაციის* ქონების განკარგვას;

vi. *ასოციაციის* მიზნების შესაბამისად აძლევს თანხმობას და აწესებს შეზღუდვებს *ასოციაციის* ქონების გასხვისებაზე;

vii. წერილობით ამტკიცებს *ასოციაციის* წლიურ ბიუჯეტსა და სამუშაო გეგმას;

viii. წერილობით ამტკიცებს *ასოციაციის* საწევრო შენატანის ოდენობას და ავალებს გამგეობას გადახდის წესის განსაზღვრას და აღსრულებას;

ix. აღჭურავს გამგეობას უფლებით, დაამტკიცოს ასოციაციის ორგანიზაციული სტრუქტურა, კვალიფიკაციის წესი და *ასოციაციის* სხვა პროცედურები;

x. აღჭურვავს გამგეობას უფლებით, შექმნას საკონსულტაციო კომიტეტები, რომელთა საქმიანობა დამყარებული იქნება გამჭვირვალობის პრინციპზე;

xi. იღებს გადაწყვეტილებას *ასოციაციის* ლიკვიდაციის შესახებ და აღჭურვავს გამგეობას უფლებით, განახორციელოს *ასოციაციის* ლიკვიდაცია.

xii. აღჭურვავს გამგეობას უფლებით, ასოციაციაში მიიღოს ახალი წევრები და კვალიფიკაციის შესაბამისად მიანიჭოს მათ კანდიდატი წევრის ან ნამდვილი წევრის სტატუსი.

xiii. გამგეობის რეკომენტაციით იღებს გადაწყვეტილებას წევრობაშეჩერებული წევრების გარიცხვის შესახებ.

8.2.7. ნამდვილ წევრებს შეუძლიათ მიაწოდონ რეკომენდაციები საერთო კრებას გამგეობის წევრობასთან დაკავშირებით და დაასახელონ კანდიდატურები.

8.2.8. საერთო კრების:

i) სხდომები ეწყობა წელიწადში ერთხელ. შეხვედრის ვადებს განსაზღვრავს *გამგეობა* ხმის უმრავლესობით.

ii) სხდომის შესახებ ასოციაციის წევრებს უნდა ეცნობოთ სხდომის თარიღიდან არანაკლებ თოთხმეტი (14) დღით ადრე წერილობითი შეტყობინებით. ასეთი შეტყობინება უნდა შეიცავდეს სხდომის თარიღს, დროსა და დღის წესრიგს (ფიზიკური შეხვედრის შემთხვევაში სხდომის ადგილს).

iii) სხდომებს უძღვება დამსწრე ნამდვილ წევრთა ხმების უმრავლესობით არჩეული სხდომის თავმჯდომარე.

iv) დამატებითი და საგანგებო სხდომები ტარდება გამგეობის წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით ან ნამდვილ წევრთა ერთი მეხუთედის მოთხოვნის შემთხვევაში.

v) დამატებითი და საგანგებო სხდომების შესახებ *ასოციაციის* წევრებს უნდა ეცნობოთ სხდომის მოწვევის თარიღიდან არანაკლებ თოთხმეტი (14) დღით ადრე წერილობითი შეტყობინებით. ასეთი შეტყობინება უნდა შეიცავდეს სხდომის ადგილს, თარიღს, დროსა და დღის წესრიგს.

vi) სხდომებს ესწრება ასოციაციის აღმასრულებელი მდივანი ხმის უფლების გარეშე.

vii) იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნას ფართო საეთაშორისო გამჭვირვალობა, ქართულ ენასთან ერთად სხდომებზე შიეძლება გამოყენებული იქნას სხვა ენებიც. საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნება თარგმანი.

8.2.9. ქვორუმი და კენჭისყრა:

i. თითოეულ ნამდვილ წევრს აქვს ერთი ხმა.

ii. ნამდვილ წევრთა უმრავლესობა შეადგენს საერთო კრების სხდომის ქვორუმს.

iii. საერთო კრებაზე გადაწყვეტილება მიიღება კრების სხდომაზე დამსწე წევრთა ხმათა უმრავლესობით.

iv. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში ტარდება ხელახალი კენჭისყრა, სანამ არ იქნება მიღწეული ხმების უმრავლესობა.

v. კენჭისყრის ყველა შედეგი აისახება საერთო კრების სხდომების ოქმებში.

vi. ყველა კენჭისყრა ტარდება ღიად. თუმცა სხდომის თავმჯდომარეს აქვს უფლება, საკითხი დააყენოს ფარულ კენჭისყრაზე. თუ კენჭისყრა ეხება პიროვნების არჩევას, ასოციაციის ნებისმიერ ხმის მიმცემ წევრს აქვს უფლება მოითხოვოს ფარული კენჭისყრა. ფარული კენჭისყრა წარმოებს ანონიმური საარჩევნო ბიულეტინებით.

8.3. გამგეობა

8.3.1. *ასოციაციის* ხელმძღვანელ და წარმომადგენლობით ორგანოს საერთო კრების სხდომებს შორის წარმოადგენს გამგეობა. გამგეობა ერთობლივად ახორციელებს *ასოციაციის* ხელმძღვანელობას.

8.3.2. გამგეობის მუშაობას ხელმძღვანელობს *ასოციაციის* პრეზიდენტი, *ასოციაციის* პრეზიდენტის არყოფნის შემთხვევაში - გამგეობის მიერ არჩეული ვიცე-პრეზიდენტი ან გამგეობის ერთ-ერთი წევრი.

8.3.3. გამგეობას აქვს საქართველოს კანონმდებლობით არასამეწარმეო ორგანიზაციებისთვის მინიჭებული მმართველი ორგანოს ყველა უფლება, შეიძინოს და განკარგოს ქონება, დადოს ხელშეკრულებები და სხვაგვარად წარმოადგინოს *ასოციაციის* საქმეები.

8.3.4. გამგეობა უფლებამოსილია:

i. უზრუნველყოს *ასოციაციის* საწესდებო მიზნების განხორციელება;

ii. მიიღოს კონკრეტული გადაწყვეტილებები, რომელიც ეხება *ასოციაციის* საქმიანობას, მათ შორის წესებისა და პროცედურების, ბიუჯეტისა და სამუშაო პროგრამის შესახებ;

iii. გამგეობის წევრებიდან ხმის უმრავლესობით აირჩიოს და გაათავისუფლოს *ასოციაციის* პრეზიდენტი და ვიცე-პრეზიდენტი;

iv. შეიმუშაოს *ასოციაციის* საორგანიზაციო და სამოქმედო წესები (შინაგანაწესი), დასამტკიცებლად წარუდგინოს საერთო კრებას და თვალყური ადევნოს მათ შესრულებას;

v. მიიღოს ახალი წევრები და მიანიჭოს მათ კანდიდატი წევრის სტატუსი.

vi. კვალიფიკაციის საბჭოს რეკომენდაციის საფუძველზე კვალიფიკაციის დადასტურების შესაბამისად მიანიჭოს კანდიდატ წევრებს ვერცხლის სამკერდის კვალიფიკაცია და ნამდვილი წევრის სტატუსი;

vii. დაავალოს *ასოციაციის* აღმასრულებელ მდივანს, დადგენილ ვადებში ნამდვილ წევრებზე გასცენ *ასოციაციის* კვალიფიკაციის სერტიფიკატი, გიდის ბარათი და ვერცხლის სამკერდე ნიშანი;

viii. ამ წესდების, *ასოციაციის* შინაგანაწესისა და სხვა დადგენილი პროცედურების მიხედვით დროებით შეუჩეროს წევრობა *ასოციაციის* წევრს და შესაბამისი რეკომენდაცია წარუდგინოს საერთო კრებას მისი მომავალი სტატუსის შესახებ;

ix. საერთო კრების ჩატარებამდე გადახედოს წევრობის შეჩერების გადაწყვეტილებას, რათა ან აღუდგინოს წევრობა წევრობაშეჩერებულ წევრს ან მისცეს რეკომენდაცია საერთო კრებას მისი ასოციაციიდან გარიცხვის თაობაზე;

x. თვალყური ადევნოს *ასოციაციის* საქმიანობას და მისი ქონების განკარგვას;

xi. *ასოციაციის* მიზნებთან შესაბამისად მისცეს თანხმობა და დააწესოს შეზღუდვები ასოციაციის ქონების გასხვისებაზე;

xii. მოამზადოს და საერთო კრებას დასამტკიცებლად წარუდგინოს *ასოციაციის* წლიური ბიუჯეტი და სამუშაო გეგმა;

xiii. მიანიჭოს *ასოციაციის* პრეზიდენტს უფლებამოსილება, წარმოადგინოს ასოციაცია ყველა საქმიან ურთიერთობებში, ჰქონდეს უფლება *ასოციაციის* სახელით მოაწეროს ხელი ფინანსურ თუ სხვა სახის დოკუმენტებს, გამოიყენოს *ასოციაციის* ბეჭედი, გასცეს ბრძანებები და დავალებები *ასოციაციის* აღმასრულებელი მდივნისათვის, გამგეობასთან შეთანხმებით დანიშნოს და გაათავისუფლოს ასოციაციის აღმასრულებელი მდივანი და სხვა დაქირავებული პერსონალი თუ სპეციალესტები, განსაზღვროს აღმასრულებელი მდივნისა და სხვა დაქირავებული სპეციალისტების ანაზღაურების ოდენობა, სამუშაო პირობები და ვადები.

xiv. მიანიჭოს ასოციაციის პრეზინდენტს უფლება, წარმოადგინოს ასოციაცია ეროვნულ, რეგიონულ და საერთაშორისო დონეებზე;

xv. დანიშნოს და გაათავისუფლოს კვალიფიკაციის საბჭოს წევრები;

xvi. შეიმუშაოს *ასოციაციის* ორგანიზაციული სტრუქტურა და შტატების დაკომპლექტების პროცედურები;

xvii. შექმნას საკონსულტაციო კომიტეტები, რომელთა საქმიანობა დამყარებული იქნება გამჭირვალობის პრინციპზე.

xviii. მიაწოდოს ინფორმაცია ყველა დაინტერესებულ მხარესა და ფართო საზოგადოებას *ასოციაციის* საქმიანობის განხილვისა და შეფასების უზრუნველსაყოფად;

xix. საერთო კრების დავალებით განახორციელოს *ასოციაციის* ლიკვიდაცია.

8.3.5. გამგეობა შედგება საერთო კრების მიერ არჩეული ხუთი (5) წევრისგან. გამგეობის წევრთა შემადგენლობა და რაოდენობა შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ საერთო კრების გადაწყვეტილებით საერთო კრების სხდომაზე დამსწრე ნამდვილ წევრთა ხმის უმრავლესობით.

8.3.6. გამგეობაში შეიძლება არჩეულნი იქნენ მხოლოდ ნამდვილი წევრები.

8.3.7. გამგეობის წევრები აირჩევიან მათი პიროვნული მონაცემების მიხედვით *ასოციაციის* მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად. ამ მხრივ უპირატესობა მიენიჭებათ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე გამოცდილ წევრებს.

8.3.8. პირი გამგეობის წევრი ხდება მხოლოდ ამ წესდებით გათვალისწინებული წესით და იგი არ შეიძლება წარმოადგენდეს რომელიმე ორგანიზაციის ან რაიმე სხვა ტიპის გაერთიანებას.

8.3.9. ნებისმიერ *ნამდვილ* წევრს განსაზღვრული წესით შეუძლია მიაწოდოს რეკომენდაციები გამგეობის წევრობასთან დაკავშირებით და დაასახელოს გამგეობის წევრობის კანდიდატურები.

8.3.10. გამგეობის წევრობის ვადებს ამტკიცებს საერთო კრება. გამგეობის წევრები თავიანთ მოვალეობას ასრულებენ საერთო კრების მიერ მინიჭებულ პერიოდში, გარდა წესდებით გათვალისწინებული გამონაკლისებისა.

8.3.11. გამგეობის სხდომა:

i) გამგეობის ყველა შეხვედრა ეწყობა ონლაინ, როგორც წესი, ყოველ სამ (3) თვეში ერთხელ. შეხვედრის ვადებსა და საშუალებას განსაზღვრავს *ასოციაციის* პრეზიდენტი ან გამგეობის წევრთა უმრავლესობა.

ii) გამგეობის სხდომის შესახებ გამგეობის წევრებს უნდა ეცნობოთ სხდომის თარიღიდან არანაკლებ ხუთი (5) დღით ადრე წერილობითი შეტყობინებით. ასეთი შეტყობინება უნდა შეიცავდეს სხდომის ადგილს, თარიღს, დროსა და დღის წესრიგს.

iii) გამგეობის სხდომებს უძღვება ასოციაციის პრეზიდენტი, ან მის არყოფნაში ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი.

iv) დამატებითი საგანგებო სხდომები ტარდება *ასოციაციის* პრეზიდენტის ან გამგეობის წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით.

v) გამგეობის დამატებითი და საგანგებო სხდომების შესახებ გამგეობის წევრებს უნდა ეცნობოთ სხდომის მოწვევის თარიღიდან არანაკლებ ხუთი (5) დღით ადრე წერილობითი შეტყობინებით. ასეთი შეტყობინება უნდა შეიცავდეს სხდომის ადგილს, თარიღს, დროსა და დღის წესრიგს.

vi) გარდა გამგეობის წევრებისა გამგეობის სხდომებს ესწრება ასოციაციის აღმასრულებელი მდივანი ხმის უფლების გარეშე.

vii) *ასოციაციის* პრეზიდენტს გამგეობის სხდომაზე შეუძლია მოიწვიოს გამოჩენილი მოღვაწეები, რომელთა ცოდნა და გამოცდილება მნიშვნელოვანი იქნება გამგეობის მუშაობისთვის. მოწვეულ პირებს არ აქვთ გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის მიღების უფლება.

viii) საჭიროების შემთხვევაში, გამგეობის წევრთა ხმის უმრავლესობის გადაწყვეტილებით, ქართულ ენასთან ერთად სხდომებზე შიეძლება გამოყენებული იქნას სხვა ენებიც. საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნება თარგმანი.

8.3.12. ქვორუმი და კენჭისყრა:

i. გამგეობის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმა.

ii. გამგეობის ხმის მიმცემ წევრთა ნახევარი შეადგენს გამგეობის სხდომის ქვორუმს, თუ სხვანაირად არ არის განსაზღვრული ამ წესდებაში.

iii. გამგეობა გადაწყვეტილებაუნარიანია და შესაბამისად მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას იურიდიული ძალა გააჩნია, თუ იგი მიღებულია სხდომაში მონაწილე წევრთა უმრავლესობით.

iv. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში ტარდება ხელახალი კენჭისყრა, სანამ არ იქნება მიღწეული ხმების უმრავლესობა.

v. კენჭისყრის ყველა შედეგი აისახება გამგეობის სხდომის ოქმებში.

vi. ყველა კენჭისყრა ტარდება ღიად. თუმცა *ასოციაციის* პრეზიდენტს აქვს უფლება, საკითხი დააყენოს ფარულ კენჭისყრაზე. თუ კენჭისყრა ეხება პიროვნების არჩევას, გამგეობის ნებისმიერ წევრს აქვს უფლება, მოითხოვოს ფარული კენჭისყრა. ფარული კენჭისყრა წარმოებს ანონიმური საარჩევნო ბიულეტინებით.

8.3.13. ანაზღაურება: გამგეობის წევრები არ იღებენ რაიმე სახის მატერიალურ ანაზღაურებას, თუმცა მათ შესაძლოა აუნაზღაურდეთ თავიანთი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული სატრანსპორტო ხარჯები.

8.4. კვალიფიკაციის საბჭო

8.4.1. *ასოციაციის* კვალიფიკაციის საკონსულტაციო ორგანოს წარმოადგენს კვალიფიკაციის საბჭო.

8.4.2. კვალიფიკაციის საბჭო შედგება გამგეობის ერთი (კვალიფიკაციაზე და გადამზადებაზე პასუხისმგებელი) წევრისგან, ასოციაციის აკრედიტებული მწვრთნელებისა და ასოციაციის აკრედიტებული გამომცდელებისგან.

8.4.3. კვალიფიკაციის საბჭოს წევრებს ნიშნავს გამგეობა.

8.4.4. კვალიფიკაციის საბჭოს წევრობის კრიტერიუმებსა და ვადებს განსაზღვრავს გამგეობა.

8.4.5. კვალიფიკაციის საბჭოს ხელმძღვანელობს კვალიფიკაციის საბჭოს თავმჯდომარე, რომელსაც ნიშნავს გამგეობა.

8.4.6. კვალიფიკაციის საბჭოს სხდომა:

i) კვალიფიკაციის საბჭოს ყველა შეხვედრა ეწყობა ონლაინ, როგორც წესი ყოველ სამ (3) თვეში ერთხელ. შეხვედრის ვადებსა და საშუალებას განსაზღვრავს *კვალიფიკასიის საბჭოს* თავმჯდომარე ან გამგეობა.

ii) კვალიფიკასიის საბჭოს სხდომის შესახებ გამგეობის წევრებს უნდა ეცნობოთ სხდომის თარიღიდან არანაკლებ ხუთი (5) დღით ადრე წერილობითი შეტყობინებით. ასეთი შეტყობინება უნდა შეიცავდეს სხდომის თარიღს, დროსა და დღის წესრიგს.

iii) კვალიფიკაციის საბჭოს სხდომებს უძღვება კვალიფიკაციის საბჭოს თავმჯდობარე, ან მის არყოფნაში გამგეობის მიერ კვალიფიკაციის საბჭოს წევრებიდან დანიშნული ერთ-ერთი წევრი, რომელიც შეასრულებს საბჭოს დროებითი თავმჯდომარის მოვალეობას.

iv) დამატებითი საგანგებო სხდომები ტარდება *კვალიფიკაციის საბჭოს* თავმჯდომარის ან გამგეობის გადაწყვეტილებით.

v) გარდა საბჭოს წევრებისა საბჭოს სხდომებს ესწრება ასოციაციის აღმასრულებელი მდივანი ხმის უფლების გარეშე.

8.5. აღმასრულებელი მდივანი

8.5.1. *ასოციაციის* აღმასრულებელ ორგანოს წარმოადგენს აღმასრულებელი მდივანი, რომელიც წარმოადგენს შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე დანიშნულ პირს

8.5.2. აღმასრულებელი მდივანი ინიშნება გამგეობის მიერ ასოციაციის პრეზიდენტის წარდგენით გამგეობის მიერ დადგენილი წესითა და პროცედურით.

8.5.3. აღმასრულებელი მდივანი წარმართავს *ასოციაციის* ყოველდღიურ საქმიანობას განსაზღვრული მიმართულებებისა და სახელმძღვანელო პრინციპების მიხედვით.

8.5.4. აღმასრულებელი მდივანი, დაკავებული თანამდებობიდან გამომდინარე, მონაწილეობას იღებს საერთო კრებისა და გამგეობის სხდომებში ხმის უფლების გარეშე.

8.5.5. აღმასრულებელი მდივნის დანიშვნის მაქსიმალური ვადაა ხუთი (5) წელი. აღმასრულებელი მდივანი, შეიძლება კვლავ დაინიშნოს ახალი ვადით მხოლოდ ერთხელ.

8.5.6. აღმასრულებელ მდივნად არ შეიძლება დაინიშნოს გამგეობის წევრი.

8.6. ინტერესთა კონფლიქტი

8.6.1. იმ შემთხვევაში, თუ გამგეობის, კვალიფიკაციის საბჭოს ან გამგეობის მიერ შექმნილი რომელიმე კომიტეტის წევრი, ან აღმასრულებელი მდივანი პირდაპირ ან არაპირდაპირ დაინტერესებულია რაიმე საკითხით, რომელსაც განიხილავს ზემოთაღნიშნული ნებისმიერი ორგანო, მან პირველივე შესაძლებლობისთანავე წერილობით უნდა აცნობოს გამგეობას ამ დაინტერესების შესახებ და უარი თქვას მოცემული საკითხის განხილვასა და გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობაზე.

8.6.2. თუ აღმოჩნდა, რომ ასეთი წინააღმდეგობა არსებობდა და არ იყო გაცხადებული რომელიმე ამ ორგანოს გადაწყვეტილების მიღებამდე, მაშინ გადაწყვეტილება უქმდება და გადაისინჯება დაინტერესებული წევრის მონაწილეობის გარეშე.

9. ასოციაციის ოფიციალური დოკუმენტაცია

9.1. <u>წლიური ანგარიში</u>: გამგეობა აქვეყნებს წლიურ ანგარიშს, რომელიც მოიცავს გასული წლის ანგარიშს შემოსავლებისა და დანახარჯების შესახებ.

9.2. <u>ოქმები</u>: საერთო კრებისა და გამგეობის სხდომათა გადაწყვეტილებები აისახება სხდომის ჩანაწერებში, რომლებიც დგება საერთო კრებისა და გამგეობის ყველა სხდომაზე.

9.3. საერთო კრებისა და გამგეობის სხდომებზე აღმასრულებელი მდივანი ასრულებს სხდომის მდივნის მოვალეობას და ან თავად აწარმოებს ან თვალყურს ადევნებს ოქმების შედგენას.

9.4. ყველა ოქმში უნდა შევიდეს ჩანაწერები სხდომის თარიღის და მონაწილეთა შესახებ, ისევე როგორც განხილვების ძირითადი შინაარსი. კენჭისყრის ყველა შედეგი აისახება ოქმში.

9.5. <u>ოქმების დამოწმება</u>: საერთო კრებისა და გამგეობის ყველა ოქმს ხელმოწერით ამოწმებენ სხდომის თავმჯდომარე და სხდომის მდივანი.

10. ასოციაციის ქონება და მისი წყაროები

10.1. *ასოციაციის* შემოსავლების შექმნის წყაროებია:

10.1.1. ასოციაციის წევრების მიერ გადახდილი საწევრო შენატანები;

10.1.2. ფინანსური ან სხვა სახის შემოწირულობა ასოციაციის ნებისმიერი წევრისგან, იმ ფორმით, როგორც ეს შეთანხმებულია გამგეობასთან;

10.1.3. ფინანსური ან სხვა სახის შემოწირულობები სხვა ფიზიკური და იურიდიული პირებსგან, იმ ფორმით, როგორც ეს შეთანხმებულია გამგეობასთან;

10.1.4. დონორებისგან მიღებული გრანტები;

10.1.5. ასოციაციის მიზნებისათვის წესდებით გათვალისწინებული და კანონით ნებადართული სამეწარმეო საქმიანობის შედეგად მიღებული შემოსავლები;

10.1.6. სხვა კანონიერი შემოსავლები.

10.2. *ასოციაციის* სახსრები, ისევე როგორც მთელი მისი ქონება, ხმარდება მხოლოდ ამ წესდებით გათვალისწინებული მიზნების განხორციელებას.

10.3. *ასოციაციის* ქონებრივი მდგომარეობის შესახებ ყოველწლიურად დგება ანგარიში.

10.4. ფინანსური სახსრების დახარჯვის წესი განისაზღვრება ასოციაციის შინაგანაწესით, ასევე ასოციაციას მიერ დადებული ხელშეკრულებების დებულებებით.

11. ასოციაციის საქმიანობაზე კონტროლი და ანგარიშთა აუდიტი

11.1. *ასოციაციის* ფინანსური ანგარიშები დგება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესებისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

11.2. ზოგი ფინანსური წვლილი შესაძლებელია დაექვემდებაროს დამატებით პროცედურებს, რისთვისაც გამგეობას შეუძლია დანიშნოს დამოუკიდებელი აუდიტორი ასოციაციის ყოველწლიური ფინანსური აუდიტის წარმოებისთვის.

11.3. ფინანსური კონტროლის დამატებითი წესები შეიძლება განისაზღვროს საერთო კრების მიერ.

12. ცვლილებები ასოციაციის წესდებაში

12.1. მხოლოდ საერთო კრებაა უფლებამოსილი, შეიტანოს შესწორებები ამ წესდებაში საერთო კრების სხომაზე დამსწრე ნამდვილ წევრთა ხმათა უმრავლესობით.

12.2. ამ წესდების მუხლობრივი ცვლილება უნდა დამტკიცდეს საერთო კრების სხდომაზე და გატარდეს რეგისტრაციაში კანონით დადგენილი წესით.

13. ასოციაციის საქმიანობის შეწყვეტა

13.1 ასოციაცია საქმიანობას წყვეტს ლიკვიდაციის ან რეორგანიზაციის გზით.

13.2 *ასოციაციის რეორგანიზაცია* (შეერთება, მიერთება, გაყოფა, გამოყოფა, გარდაქმნა) და/ან ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13.3 გადაწყვეტილებას *ასოციაციის* ლიკვიდაციის შესახებ იღებს საერთო კრება სხდომაზე დამსწრე ნამდვილ წევრთა ხმების 3/4ით *ასოციაციის* საწესდებო მიზნების მიღწევის, სხვა ასოციაციასთან გაერთიანების, გაკოტრების, რეგისტრაციის გაუქმების ან საქართველოს კანონმდებლობით დაშვებულ სხვა შემთხვევაში.

13.4 საერთო კრების დავალებით *ასოციაციის* ლიკვიდაციას ახორციელებს გამგეობა საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

13.5 ლიკვიდაციის შემთხვევაში უნდა დამთავრდეს მიმდინარე საქმეები, დადგინდეს მოთხოვნები, დარჩენილი ქონება გამოიხატოს თანხაში, დაკმაყოფილდნენ კრედიტორები. გადაწყვეტილებას ჭარბი სალიკვიდაციო ბალანსის განაწილების შესახებ, თუ ასეთი იქნება, იღებს საერთო კრება გამგეობის რეკომენდაციების საფუძველზე. ასეთი განაწილება მაქსიმალურად უნდა შეესაბამებოდეს *ასოციაციის* მიზნებსა და საქმიანობას.

13.6 ინფორმაცია ლიკვიდაციის შესახებ უნდა გამოქვეყნდეს. ქონება შეიძლება განაწილდეს გამოქვეყნებიდან ერთი წლის შემდეგ.

13.7 ლიკვიდაციის ან რეგისტრაციის შემდეგ, *ასოციაციის* ანგარიშები და დოკუმენტაცია შეინახება ათი წლის განმავლობაში საერთო კრების მიერ ამ საქმისთვის შერჩეულ პირთან.